განკარგულება:**g-49. 492623910**
თარიღი:**27/08/2026**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) მიკროავტობუსის- „FORD TRANSIT“-ის, სახელმწიფო ნომრით ZZ 123 BB, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 25 აგვისტოს №48-48262378 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის“ დირექტორის წერილი (თან ერთვის), რომლითაც იგი, სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მიკროავტობუსის — „FORD TRANSIT“-ის, სახელმწიფო ნომრით ZZ 123 BB, ა(ა)იპ-ის საკუთრებაში გადაცემას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 106^1-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში (ბალანსზე რიცხული) მიკროავტობუსის- „FORD TRANSIT“-ის, სახელმწიფო ნომრით ZZ 123 BB, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი